სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

**შინაარსი**


დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 1-5

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 6

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება ..... 7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ..... 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ..... 10-47


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

RSM Georgia
85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

***პირობითი მოსაზრება***

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

***პირობითი მოსაზრების საფუძველი***

კომპანია ინფორმაციას რომლებიც დაკავშირებულია დებიტორული დავალიანებების რაოდენობასთან და ოდენობასთან, გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვებთან, ვადადამდგარ და ვადაგადაცილებულ დღეებთან და სხვა საჭირო ინფორმაციასთან, ინახავს ცალკეულ მონაცემთა ბაზებში, ეს ინფორმაცია საჭიროა სადაზღვევო პრემიის დებიტორული დავალიანების სწორი გაზომვისა და შეფასებისთვის, როგორც ეს მითითებულია ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში. ჩვენ ვერ შევძელით ამ მონაცემთა ბაზების დაკავშირება და შემდგომში ჩვენი ალტერნატიული პროცედურებიც ვერ გვაძლევს გონივრულ საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს ანგარიშების მუხლები ზუსტად იზომება და ფასდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აგრეთვე ჩვენ ვერ მივიღეთ, საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული რეზერვების შესახებ, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 1,701,684 ლარია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია აღნიშნულ საკითხებზე, რადგან ჩვენ ვერ დავადგინეთ, იყო თუ არა საჭირო რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სადაზღვევო რეზერვებთან ან მათ შეფასებასთან და სადაზღვევო პრემიის დებიტორული დავალიანების სისრულესთან დაკავშირებით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლებრივი დავების მოსალოდნელი შედეგი 716,496 ლარის ოდენობით, წარმოდგენილია როგორც პირობითი ვალდებულება, ამ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში. ჩვენ ვერ მოვახერხეთ საკმარისი, შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება იმის შესახებ, უნდა შეფასდეს თუ არა ამ სამართლებრივი დავების შედეგი, როგორც პირობითი ვალდებულებები, ან აღირიცხოს როგორც ხარჯები და რეზერვები. ამის გამო ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეზერვისა და ამ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING



Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors
European Business Awards

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელმაც უარი თქვა მოსაზრებაზე. იმის გამო რომ შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული მოსაზრებაზე უარის თქმის გამო და აქვს არსებითი გავლენა მიმდინარე პერიოდის ნაშთებზე, ამიტომ ჩვენი ფინანსური ანგარიშგებები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოდიფიცირებულია ამ საკითხის შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის მაჩვენებლებსა და შესადარისს რიცხვებზე.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს"-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს") პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი") შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

***ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა***

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც მიუთითებს, რომ, კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი და საზედამხდველო კაპიტალი არ შეესაბამება საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციფიკურ მინიმალურ მოთხოვნებს 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. აღნიშნული მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, რომელიც აღწერილია მითითებულ განმარტებით შენიშვნაში, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით და კომპანიის ფუნქციონირებადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფაქტორებზე, რომლებიც წარმოდგენილია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

***სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი***

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც უარი თქვა მოსაზრების გამოთქმაზე 2022 წლის 15 აპრილს.

წინა წლის აუდიტორმა უარი თქვა მოსაზრების გამოთქმაზე შემდეგი საკითხების გამო:

1- მენეჯმენტმა ვერ წარმოადგინა გონივრული გეგმა კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით;
2- კომპანიას არ ჩაუტარებია ტესტი აქტივების გაუფასურების შესახებ ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება" შესაბამისად;
3- აუდიტორმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული რეზერვების შესახებ;
4- ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა გონივრული განმარტებები სამართლებრივი დავების მოსალოდნელ შედეგთან დაკავშირებით;
5- ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა განმარტება ძირითადი საშუალებების კატეგორიაში დაყოფილი აქტივის ხელახალი კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ.

მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე პირობითი მოსაზრება გაცემულია შემდეგი მოვლენების საფუძველზე:

1- მენეჯმენტმა წარმოადგინა ბიზნეს გეგმა, რომლის მიხედვითაც კომპანია მიიღებს ზომებს, რაც უზრუნველყოფს კომპანიის ფუნქციონირებადობას, როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში;
2- აღარ არსებობს გაუფასურების ინდიკატორები, რადგან აქციონერებმა 2022 წელს 2,099,819 ლარის ოდენობის სააქციო კაპიტალის ზრდით და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით ახალი სააქციო კაპიტალის შეტანის ვალდებულების აღებით აჩვენეს თავიანთი მზაობა მართონ კომპანია;
3- საკითხი #5 მოგვარებულია არამატერიალური ნაშთის გამო;
4- #3 და #4 საკითხების გამო მოსაზრება 2022 წლის ფინანსურ ანგარშგებაზე მოდიფიცირებულია, მაგრამ გავლენა არ არის ყოვლისმომცველი.

***სხვა ინფორმაცია***

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ვვარაუდიბთ, რომ მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით („კანონი") განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენ ჩავატარებთ გარკვეულ პროცედურებს, რომლებიც საჭირო იქნება კომპანიის მმართველობითი ანგარიშის საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობის დასადგენად და მოსაზრება მასთან დაკავშირებით გაიცემა ცალკე.

***ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში

განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**31 მაისი 2023**

**არესემ საქართველოს სახელით** RSM Georgia

**გარიგების პარტნიორი: ალი მურტზა**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

| | **შენიშვნები** | **2022** | **2021** |
|---|---|---|---|
| მოზიდული პრემია | **4** | 9,101,508 | 5,358,777 |
| გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში | **4** | (1,507,767) | (191,715) |
| **წმინდა მოზიდული პრემია** | | **7,593,741** | **5,167,062** |
| | | | |
| ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში | **4** | (1,422,812) | (162,754) |
| გამოუმუშ. პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადამზღვევლის წილი | **4** | 868,714 | 10,956 |
| **წმინდა გამომუშავებული პრემია** | | **7,039,643** | **5,015,264** |
| | | | |
| საკომისიო შემოსავალი | | 167,744 | 24,885 |
| **სულ შემოსავალი** | | **7,207,387** | **5,040,149** |
| | | | |
| ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები | **5** | (4,268,575) | (2,141,875) |
| გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ სადაზღვევო ზარალებში | **5** | 448,984 | - |
| **წმინდა სადაზღვევო ზარალები** | | **(3,819,591)** | **(2,141,875)** |
| | | | |
| საკომისიო ხარჯები | **6** | (609,755) | (376,860) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | **7** | (1,612,899) | (1,462,557) |
| ხელფასის ხარჯი | | (1,993,399) | (1,764,820) |
| გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი | | (939,566) | 468,824 |
| საპროცენტო შემოსავალი | | 127,867 | 125,701 |
| მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან | | (953,738) | (319,178) |
| | | | |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე** | | **(2,593,694)** | **(430,616)** |
| | **8** | | |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | (10,862) |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ** | | **(2,593,694)** | **(441,478)** |
| | | | |
| მოგება ძირითადი საშუალების გადაფასებიდან | | - | 132,983 |
| **მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)** | **4** | **(2,593,694)** | **(308,495)** |

| | |
|---|---|
| მარეხი გურული | სოფიკო ეფენია |
| გენერალური დირექტორი | ფინანსური დირექტორი |

Marekh Guruli 20001002523 Digitally signed by Marekh Guruli Date: 2023.06.02 07:15:13

Sopiko Epenia 19001018002 Digitally signed by Sopiko Epenia Date: 2023.06.02 09:58:07

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით**

| | შენიშვნები | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | **15** | 366,856 | 236,948 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | **15** | 7,675,481 | 7,745,105 |
| სხვა აქტივები | **14** | 351,304 | 414,002 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | **13** | 3,325,298 | 2,097,023 |
| გადაზღვევის აქტივები | **12** | 1,372,596 | 128,596 |
| გადავადებული აკვიზიციის ხარჯები | **6** | 312,249 | 177,878 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | **8** | - | - |
| არამატერიალური აქტივები | **10** | 111,631 | 146,051 |
| აქტივის გამოყენების უფლება | **11** | 334,508 | 477,538 |
| ძირითადი საშუალებები | **9** | 403,552 | 427,545 |
| გაცემული სესხები | **14** | 57,200 | 57,200 |
| **სულ აქტივები** | | **14,310,675** | **11,907,886** |
| | | | |
| **ვალდებულებები** | | | |
| სხვა ვალდებულებები | **17** | 1,083,737 | 972,425 |
| გადაზღვევიდან წარმოშობილი ვალდებულებები | **18** | 1,349,190 | 155,184 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები | **12** | 4,642,168 | 2,782,115 |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება | | - | - |
| საიჯარო ვალდებულებები | **11** | 306,626 | 575,333 |
| **სულ ვალდებულებები** | | **7,381,721** | **4,485,057** |
| | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | **16** | 12,991,287 | 10,891,468 |
| გადაფასების რეზერვი | | 132,983 | 132,983 |
| გაუნაწილებელი მოგება | | (6,195,316) | (3,601,622) |
| **სულ კაპიტალი** | | **6,928,954** | **7,422,829** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **14,310,675** | **11,907,886** |

| | |
|---|---|
| მარეხი გურული | სოფიკო ეფენია |
| გენერალური დირექტორი | ფინანსური დირექტორი |

Marekh Guruli 20001002523 Digitally signed by Marekh Guruli Date: 2023.06.02 07:15:43

Sopiko Epenia 19001018002 Digitally signed by Sopiko Epenia Date: 2023.06.02 09:58:42

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | სააქციო კაპიტალი | გაუნაწ. მოგება | გადაფასების რეზერვი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **2021 წლის 1 იანვარი** | **7,725,554** | **(3,160,144)** | **-** | **4,565,410** |
| ჩვეულებრივი აქციების გამოშვება | 3,165,914 | | | **3,165,914** |
| წლის მოგება/(ზარალი) | - | (441,478) | | **(441,478)** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | | 132,983 | **132,983** |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **10,891,468** | **(3,601,622)** | **132,983** | **7,422,829** |
| ჩვეულებრივი აქციების გამოშვება | 2,099,819 | - | - | **2,099,819** |
| წლის მოგება/(ზარალი) | - | (2,593,694) | - | **(2,593,694)** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | - | **-** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **12,991,287** | **(6,195,316)** | **132,983** | **6,928,954** |

| | |
|---|---|
| მარეხი გურული | სოფიკო ეფენია |
| გენერალური დირექტორი | ფინანსური დირექტორი |

Marekh Guruli 20001002523
Digitally signed by Marekh Guruli
Date: 2023.06.02 07:16:12

Sopiko Epenia 19001018002
Digitally signed by Sopiko Epenia
Date: 2023.06.02 09:59:26

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| სადაზღვევო პრემიის შემოდინება | 6,992,365 | 4,967,816 |
| გადინება გადაზღვევის პრემის მიხედვით | (150,532) | (341,152) |
| გადახდილი ზარალი | (4,197,030) | (2,969,982) |
| გადაზღვევიდან მიღებული საკომისიო | 12,372 | 20,062 |
| რეგრესი და გადარჩენილი ქონება | 144,412 | 484,472 |
| გადინება აგენტის საკომისიოს მიხედვით | (557,360) | (302,539) |
| გადახდილი შრომის ანაზღაურება | (1,525,209) | (1,345,028) |
| გადახდილი გადასახადები | (946,700) | (301,582) |
| გადახდილი საბანკო ხარჯები | (5,473) | (5,235) |
| გადინება იჯარების მიხედვით | (11,852) | (70,421) |
| გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება | (149,590) | (61,551) |
| გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები | (48,498) | (85,041) |
| გადახდილი საკანცელარიო ხარჯები | (23,244) | (12,477) |
| გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები | (30,810) | (65,988) |
| დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები | 161,295 | 170,517 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | (476,023) | (2,453,427) |
| გადახდილი სხვა ხარჯები | (709,164) | (475,061) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები** | **(1,521,041)** | **(2,846,617)** |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| სესხის გაცემა | - | (57,200) |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (46,196) | (50,541) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | (2,832) | (47,909) |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(49,028)** | **(155,650)** |
| **ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | | |
| საიჯარო ვალდებულებების პროცენტის გადახდა | - | - |
| საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა | (315,559) | (246,540) |
| სააქციო კაპიტალის ზრდა | 2,099,819 | 3,165,914 |
| **საფინანსო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა** | **1,784,260** | **2,919,374** |
| ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი | (84,283) | (329,933) |
| **ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/ (შემცირება)** | **129,908** | **(412,826)** |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | **236,948** | **649,774** |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს** | **366,856** | **236,948** |

| | |
|---|---|
| მარეხი გურული | სოფიკო ეფენია |
| გენერალური დირექტორი | ფინანსური დირექტორი |

Marekh Guruli 20001002523 Digitally signed by Marekh Guruli Date: 2023.06.02 07:16:45

Sopiko Epenia 19001018002 Digitally signed by Sopiko Epenia Date: 2023.06.02 10:00:08

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**1. ზოგადი ინფორმაცია**

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი (ს/კ 204540274) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2007 წელს. კომპანია იმართება სათაო ოფისიდან და აქვს ოთხი სერვისცენტრი ბათუმში, თელავში, ფოთსა და თბილისში. კომპანია ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. კომპანია ფლობს ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას: სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის, რომლებიც გაცემულია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა, N24, სართული 6, სადარბაზო 1, ოფისი N6.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელი და სააქციო კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „MERCURY EUROPE HOLDINGS“ (ს.ნ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი N11, L-2420, ლუქსემბურგი).

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის ალია ბაბაევა (აზერბაიჯანი).

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**(A) ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**ფუნქციონირებადი საწარმო**

კომპანია დგას შემდეგი ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე:

1. კომპანიის საზედამხდველო კაპიტალი არ შეესაბამება საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციფიკურ მინიმალურ მოთხოვნებს 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
2. კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი რამდენიმე წელია. 2022 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 6,195,316ლარი.
3. 2023 წლის 1 იანვრიდან გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9 (IFRS-9) და აღნიშნულ სტანდარტს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსური აქტივების შეფასებაზე.

**შემასუსტებელი ფაქტორები**

კომპანია აღიარებს საჭირო საზედამხედველო კაპიტალის დეფიციტს და არის კომპანიის წინაშე არსებული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების დასაძლევად შემუშავებული მრავალმხრივი გეგმის განხორციელების პროცესში. კომპანიის ფინანსური და საოპერაციო გეგმა ნაჩვენებია ქვემოთ:

1. 2022 წლის განმავლობაში აქციონერებმა შეიტანეს კაპიტალში დამატებითი თანხა 2,099,819 ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლის განმავლობაში აქციონერებმა შეიტანეს კაპიტალში დამატებითი 1,691,785 ლარი და მიმდინარე პერიოდში სააქციო კაპიტალი გაიზარდა 14 683 072 ლარამდე. აღნიშნული შენატანები კაპიტალში არსებითად შეამცირებს საზედამხედველო კაპიტალის დეფეციტს.
2. თუ კომპანიის ბიზნეს გეგმა კაპიტალში ახალ შენატანებთან ერთად ვერ შეავსებს საზედამხდეველო კაპიტალის დეფიციტსა და IFRS 9 ეფექტის შესაძლო გავლენას, მაშინ კომპანიის ამჟამინდელი აქციონერები მზად არიან დაფარონ დეფიციტი კაპიტალში დამატებითი შენატანებით.
3. მენეჯმენტმა ჩამოაყალიბა ბიზნეს გეგმა ბიზნეს პროგნოზების დეტალური ხაზებითა და ყველა ძირითადი კოეფიციენტით (ზარალის კოეფიციენტი, აკვიზიციის ხარჯების კოეფიციენტი, OPEX, კომბინირებული კოეფიციენტი), აღნიშნული გეგმა აჩვენებს, რომ კომპანია უნდა შეესაბამებოდეს ყველა მარეგულირებელ მოთხოვნას მომდევნო წლებში;
4. კომპანიის მენეჯმენტმა ასევე მოამზადა გეგმა, რომ საოპერაციო ეფექტურობაზე ზემოქმედების გარეშე შეზღუდოს მისი ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები;
5. ფინანსური პოზიციის გაძლიერებისათვის, აქციონერი შეთანხმდა, რომ უარს იტყვის მომავალ წლებში დივიდენდის მიღებაზე, სანამ არ შესრულდება ყველა მარეგულირებელი მოთხოვნა.
6. კომპანიამ გაუზიარა ზემოაღნიშნული გეგმები მარეგულირებელ ორგანოს და კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის მათგან რაიმე საოპერაციო და ფინანსურ სანქციებს/ჯარიმებს.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ზემოაღნიშნული გეგმები / ძალისხმევა მნიშვნელოვნად დაეხმარება კომპანიას ფინანსური პრობლემების დაძლევაში და გამოიწვევს მისი ფინანსური და ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემუშავებული გეგმების და ზემოთ ახსნილი შემასუსტებელი ფაქტორების გათვალისწინებით, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიას შეეძლება გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქცონირებადმა საწარმომ, თუკი მოვლენები ისე განვითარდება, როგორც არის დაგეგმილი.

**(B) ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება**

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

**ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის:

- სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, IFRS 9 *ფინანსური ინსტრუმენტების* ნაცვლად გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება 2023 წლამდე;
- 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 *სადაზღვევო კონტრაქტები*, რომელიც 2023 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს:

**(C) ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია**

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც კომპანია არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**(D) სადაზღვევო შემოსავლების და ხარჯების აღიარება**

**მოზიდული პრემია**

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (იხ. ამ გ/შენიშვნის G ნაწილი).

**გადაზღვევის პრემია**

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია არის წლის განმავლობაში აღიარებული დასათმობი პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

**სადაზღვევო ზარალები**

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

**(E) ფინანსური ინსტრუმენტები**

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

**ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება**

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა,

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

როგორც სესხები და მოთხოვნები - არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქნილი ზარალი. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებაზე. ფასდება, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა კომპანიის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნების შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად არ ხდება გაუფასურების შეფასება, კომპანია აფასებს გაუფასურებას კოლექტიურად, წარსულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით. ამ რეზერვის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

**ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

**დაზღვევასთან დაკავშირებული აქტივები**

- სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა არის გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამოუმუშავებელი პრემიების მოთხოვნის ჯამი.
- მოთხოვნა გადამზღვევლისგან არის გადამზღვევლის წილი გადახდილ და გადასახდელ ზარალებში.
- გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.
- რეგრესის მოთხოვნა არის მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

**საიჯარო ვალდებულება**

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის დაწყების თარიღში. თავდაპირველად, საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რაც განისაზღვრება საიჯარო გადახდების დისკონტირებით. დისკონტირება ხორციელდება ზღვრული სასესხო განაკვეთით.

**(F) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. IBNR გამოითვლება კანონმდებლობის შესაბამისად: მოზიდული პრემიის 5% ყველა სადაზღვევო კონტრაქტისთვის, გარდა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევისა და მოზიდული პრემიის 2% სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში. არ ხდება ვალდებულების დისკონტირება დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით. არ ხდება კატასტროფის რეზერვის აღიარება. ვალდებულება ჩამოიწერება, როცა ხდება გადახდა, გაქვითვა ან ანულირება.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ ამოწურულ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით. UPR გამოითვლება შუამავლების საკომისიოს და აკვიზიციის სხვა ხარჯების გამოკლებით.

**ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი**

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას. თუ აღმოჩნდება, რომ გამოუმუშავებელი პრემიის

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

რეზერვი არის არაადეკვატური, ხდება პრემიის დეფიციტის რეზერვის აღიარება მოგება-ზარალის გამოყენებით.

**(G) აკვიზიციის გადავადებული ხარჯი (DAC)**

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, გადავადდება, რამდენადაც ხდება ამ კონტრაქტებიდან მისაღები პრემიის გამომუშავება მომავალში. ამ გამომუშავების შესაბამისად ხდება DAC-ის ამორტიზაცია და ხარჯის აღიარება მოგება-ზარალში.

ყოველ საანგარიშგებო თარიღში (ან უფრო ხშირად, თუ ინდიკაცია არსებობს) ხდება გაუფასურების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზარალის აღიარება მოგება-ზარალში. კონტრაქტის გაუქმების შემთხვევაში ხდება შესაბამისი DAC-ის ჩამოწერა.

**(H) ძირითადი საშუალებები**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5 წელი წრფივი |
| ტექნიკური აღჭურვილობა | 2-5 წელი წრფივი |
| ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები | 5-10 წელი წრფივი |
| სატრანსპორტო საშუალებები | 10 წელი წრფივი |

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

**აქტივი გამოყენების უფლებით (ROU აქტივი)**

ROU აქტივი აღიარდება იჯარის დაწყებისას და ფასდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულების საწყისი ოდენობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით. ROU აქტივის ცვეთა ხორციელდება წრფივად, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

**(I) არამატერიალური აქტივები**

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% წრფივი) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

**(J) საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

**(K) არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

**(L) უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები**

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

| | ₾ / დოლ. | ₾ / ევრო |
|---|---|---|
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.70 | 2.88 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წელს | 2.92 | 3.08 |
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 3.10 | 3.50 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წელს | 3.22 | 3.81 |

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

**(M) მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

**(N) ანარიცხები**

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

**(O) კაპიტალი**

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

**(P) შეფასება იმისა, თუ რამდენად არის კომპანიის საქმიანობა დაკავშირებული დაზღვევასთან**

ფასს 9-ის  გამოყენებიდან დროებითი გადავადების უფლება ვრცელდება იმ კომპანიებზე, რომელთა ძირითადი საქმიანობა დაკაშირებულია დაზღვევასთან. გადავადების უფლების დამაკმაყოფილებლობის შეფასება ხდება ანგარიშგების წარმდგენი კომპანიის დონეზე და ვრცელდება მის ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებაზე.

კომპანიამ გადაწყვიტა ფასს 9-ის გამოყენება გადაავადოს ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღამდე, 2023 წლის 1 იანვრამდე, იმის საფუძველზე, რომ:

- კომპანიას აქამდე არ გამოუყენებია ფასს 9-ის სტანდარდტი და
- კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია დაზღვევასთან.

ფასს 4-ის მიხედვით, მზღვეველის საქმიანობა დაკავშირებულია დაზღვევასთან თუ:

- ა) ფასს 4-ის ფარგლებში აღრიცხული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (რომელიც მოიცავს ნებისმიერი ტიპის დეპოზიტის კომპონენტს ან/და ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტებს განცალკევებულს სადაზღვევო კონტრაქტებისგან) არის მთლიანი ვალდებულებების ძირითადი ნაწილი და
- ბ) სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არის მთლიანი ვალდებულებების საბალანსო ღირებულების 1) 90%-ზე მეტი ან 2) 90%-ზე ნაკლები ან ტოლი, მაგრამ 80%-ზე მეტი თუ მზღვეველის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა არ არის დაკავშირებული სადაზღვევოსგან განსხვავებულ საქმიანობასთან.

ფასს 4-ის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს:

ა) ფასს 4-თან დაკავშირებული კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებს;

ბ) მოგება-ზარალის გავლით აღრიცხულ სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაწარმოებულ საინვესტიციო საკონტრაქტო ვალდებულებებს ბასს 39-ის შესაბამისად;

გ) ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა რადგან მზღვეველი გამოუშვებს კონტრაქტებს ან ასრულებს ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ა) და ბ) ნაწილში მოცემულთან.

ასეთი ვალდებულებები გულისხმობს იმ წარმოებულ ინსტრუმენტებსაც, რომლებიც გამოიყენება აღნიშნული კონტრაქტებიდან წარმოშობილი რისკის მიტიგაციის მიზნებისთვის, მოიცავს იმ აქტივებსაც, რომლებიც ფლობილია აღნიშნული კონტრაქტების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე მოიცავს შესაბამის საგადასახადო ვალდებულებებსაც (მაგალითად, ამ კონტრაქტებთან დაკავშირებული დასაბეგრი დროებითი განსხვავებების შედეგად წარმოშობილ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას), სავალო ინსტრუმენტებსაც, რომლებიც გამოშვებულია და მონაწილეობს მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალში, გადასახდელ ხელფასებთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და თანამშრომლებისთვის ასანაზღაურებელ სხვა კომპენსაციებს.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს:

| **ფასს 4-ის ფარგლებში აღრიცხული სადაზღვევო ვალდებულებები** | **31 დეკემბერი 2022** |
|---|---|
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | |
| | **6,853,199** |
| **სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები (არა ფასს 4-თან დაკავშირებული)** | |
| გადასახდელი საკომისიოები | 221,896 |
| | **221,896** |
| **სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები** | **7,075,095** |
| **სულ ვალდებულებები** | **7,381,721** |
| **სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების % მთლიან ვალდებულებებთან** | **96%** |

კომპანია არ ეწევა სადაზღვევო საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საქმიანობას, საიდანაც მან შესაძლოა გამოიმუშაოს შემოსავლები და გასწიოს ხარჯები. კომპანიაზე ვრცელდება მზღვეველებთან დაკავშირებული ყველა სარეგულაციო მოთხოვნა და სადაზღვევო რისკი მის მთავარ ბიზნეს რისკს წარმოადგენს. გარდა ამისა, კომპანიისათვის არ არის ცნობილი საჯაროდ გავრცელებული ან სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა მიუთითოს მარეგულირებლის ან ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების მხრიდან კომპანიის სხვა ინდუსტრიის ფარგლებში კლასიფიკაციაზე.

მოცემული შეფასების საფუძველზე, კომპანია ასკვნის, რომ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია დაზღვევასთან.

**3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას. შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინასნურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ვალდებულების უმეტეს ნაწილს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

**დაზღვევიდან, გადაზღვევიდან და რეგრესიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი**

კომპანია აფასებს კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

**აკვიზიციის გადავადებული ხარჯები (DAC)**

გადავადებული აკვიზიციის ხარჯების მოცულობის შეფასება დამოკიდებულია იმის განსაზღვრაზე, თუ რომელი ხარჯი უკავშირდება პირდაპირ პოლისის გამოშვებას. ფიქსირებული პირობების გარეშე გამოშვებული გრძელვადიანი სადაზღვევო კონტრაქტებისთვის აკვიზიციის გადავადებული ხარჯების ამორტიზება ხდება კონტრაქტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, როგორც ამ კონტრაქტიდან წარმოშობილი მთლიანი მოგების მარჟის პროცენტული შეფასება სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით.

**ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები**

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

**ქონების სამართლიანი ღირებულება**

ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი პროფესიულად კვალიფიცირებული შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გაყიდვების შედარების მეთოდის გამოყენებით. შეფასება შეიძლება შეიცვალოს, როდესაც ხელმისაწვდომი გახდება ახალი გარიგების და საბაზრო მტკიცებულებების მონაცემები.

**მოგების გადასახადი**

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**4. წმინდა გამომუშავებული პრემია**

| 2022 | მოზიდული პრემია | გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში | წმინდა მოზიდული პრემია | ცვლილება გამოუმუშავებული პრემიის რეზერვში | წმინდა გამომუშავებული პრემია |
|---|---|---|---|---|---|
| სამედიცინო დაზღვევა | 2,848,443 | - | 2,848,443 | (1,054,924) | 1,793,519 |
| ავტო, TPL | 2,342,054 | (990,919) | 1,351,135 | 474,033 | 1,825,168 |
| ავტო, TPL (სავალდ.) | 2,333,863 | - | 2,333,863 | (90,895) | 2,242,968 |
| ფინანსური რისკის დაზღვევა | 384,381 | - | 384,381 | 9,680 | 394,061 |
| აგრო დაზღვევა | 335,143 | - | 335,143 | - | 335,143 |
| ვალდებულებების დაზღვევა | 292,802 | (249,832) | 42,970 | 62,099 | 105,069 |
| კონტეინერების დაზღვევა | 218,766 | - | 218,766 | 1,321 | 220,087 |
| ტვირთების დაზღვევა | 164,891 | (142,683) | 22,208 | 7,187 | 29,395 |
| ქონების დაზღვევა | 150,744 | (124,333) | 26,411 | 37,138 | 63,549 |
| სამოგზაურო დაზღვევა | 30,421 | - | 30,421 | 263 | 30,684 |
| | **9,101,508** | **(1,507,767)** | **7,593,741** | **(554,098)** | **7,039,643** |

| 2021 | მოზიდული პრემია | გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში | წმინდა მოზიდული პრემია | ცვლილება გამოუმუშავებული პრემიის რეზერვში | წმინდა გამომუშავებული პრემია |
|---|---|---|---|---|---|
| კასკო, ავტო TPL | 1,829,768 | (28,793) | 1,800,975 | (72,433) | 1,728,542 |
| ავტო TPL (სავალდ.) | 1,275,348 | - | 1,275,348 | (19,942) | 1,255,406 |
| სამედიცინო დაზღვევა | 931,565 | - | 931,565 | (47,103) | 884,462 |
| კონტეინერების დაზღვევა | 314,165 | - | 314,165 | 5,942 | 320,107 |
| ფინანსური რისკის დაზღვევა | 359,795 | - | 359,795 | (4,300) | 355,495 |
| ვალდ. შესრულება | 252,204 | (84,376) | 167,828 | 20,643 | 188,471 |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტვირთების დაზღვევა | 164,888 | (49,845) | 115,043 | 1,721 | 116,764 |
| ქონების დაზღვევა | 113,675 | (28,701) | 84,974 | (35,763) | 49,211 |
| სამოგზაურო | 5,298 | - | 5,298 | (563) | 4,735 |
| აგროდაზღვევ | 112,071 | - | 112,071 | - | 112,071 |
| | **5,358,777** | **(191,715)** | **5,167,062** | **(151,798)** | **5,015,264** |

ავტო TPL (სავალდებულო) - ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას. მის ადმინისტრირებას ახორციელებს აიპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“. ცენტრმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის 1 მარტიდან. სავალდებულო ავტო TPL დაზღვევა არის ერთობლივი ოპერაცია, სადაც 17 ქართული სადაზღვევო კომპანია (კომპანიის ჩათვლით) არიან ერთობლივი ოპერატორები და თანაბრად ინაწილებენ სადაზღვევო შემოსავალს და რისკებს.

## 5. წმინდა სადაზღვევო ზარალები

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| დარეგულირებული ზარალები | (4,601,376) | (2,998,185) |
| ზარალების რეზერვებში ბრუტო ცვლილება | (505,141) | 279,374 |
| რეგრესები და გადარჩენილი ქონება | 837,942 | 576,936 |
| **სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში** | **(4,268,575)** | **(2,141,875)** |
| ზარალების რეზერვების ცვლილებაში გადამზღვევლის წილი | 95,303 | - |
| გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალებში | 353,681 | - |
| **გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალებში და ცვლილებაში ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში** | **448,984** | **-** |
| **წმინდა სადაზღვევო ზარალები** | **(3,819,591)** | **(2,141,875)** |

## 6. საკომისიო ხარჯები (გადავადებული აკვიზიციის ხარჯები)

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| მიმდინარე წლის აკვიზიციის ხარჯები | (744,126) | (389,943) |
| მიმდინარე წლის ხარჯებიდან გადავადებული ხარჯი | 312,249 | 162,018 |
| წინა პერიოდის გადავადებული ხარჯის ამორტიზაცია | (177,878) | (148,935) |
| | **(609,755)** | **(376,860)** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

გადავადებული საკომისიო ხარჯის მოძრაობა:

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| **გადავადებული საკომისიო ხარჯი 1 იანვარს** | **177,878** | **164,795** |
| მიმდინარე წლის აკვიზიციის ხარჯები | 744,126 | 389,943 |
| ამორტიზაცია (საკომისიო ხარჯი) | (609,755) | (376,860) |
| **გადავადებული საკომისიო ხარჯი 31 დეკემბერს** | **312,249** | **177,878** |

გადავადებული საკომისიო ხარჯი გამომუშავდება პერიოდებში:

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| 1 წელზე ნაკლები | 312,249 | 177,878 |
| 1 წლიდან 5 წლამდე | - | - |
| | **312,249** | **177,878** |

**7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ცვეთა და ამორტიზაცია | 316,599 | 292,345 |
| აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯები | 227,546 | 178,723 |
| „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის “საწევროები | 204,544 | 215,883 |
| მომსახურეობის ხარჯი | 159,368 | 220,513 |
| ჯარიმები და საურავები | 129,048 | 23,685 |
| ოფისის ხარჯები | 121,354 | 7,700 |
| საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯი | 86,929 | 95,038 |
| საწვავის ხარჯი | 81,405 | 134,182 |
| სმარკეტინგის ხარჯი | 66,101 | 41,048 |
| საიჯარო ხარჯი | 59,413 | 57,693 |
| სმივლნების ხარჯი | 58,097 | 117,357 |
| მოვლა შენახვის ხარჯი | 47,081 | 35,664 |
| ბანკის საკომისიო ხარჯი | 12,054 | 10,165 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 43,360 | 32,560 |
| | **1,612,899** | **1,462,557** |

აუდიტისა და კონსულტაციის ხარჯები მოიცავს აუდიტის საფასურს 50,726 ლარის ოდენობით (2021: 55,525 ლარი). პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯი 72 000 ლარის ოდენობით (2021 წელი: 72 000 ლარი). დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სააბონენტო გადასახადი 82 448 ლარის ოდენობით (2021 წელი: 69 504 ლარი).

მომსახურების საფასური მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა იურიდიული, სანოტარო, ტრანსპორტირების, თარგმანისა და შეკეთების მომსახურება.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ჯარიმები წარმოადგენს საურავებს რომლებიც დარიცხულია საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადის ვადაგადაცილებულ დღეებზე, ამასთან, კომპანიამ დააზუსტა წინა პერიოდებში გაგზავნილი დეკლარაციები, რომლებზეც დარიცხული იყო დამატებითი ჯარიმები.

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | 71,053 | 76,728 |
| არამატერიალური საშუალებების ცვეთა | 37,253 | 34,589 |
| აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა | 208,293 | 181,028 |
| | **316,599** | **292,345** |

**8. მოგების გადასახადი**

კომპანია არის ზარალზე და ამის გამო არ ახდენს მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯისა და გადავადებული საგადასახადო აქტივის/(ვალდებულების) აღიარებას და ასევე არ აღიარებს რადგან 2024 წლის 1 იანვირდან სადაზღვევო კომპანიები გადადიან მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონურ მოდელზე, რომლის მიხედვითაც მხოლოდ დივიდენდის სახით გაცემული მოგება იქნება დაბეგვრის ობიექტი.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**9. ძირითადი საშუალებები**

| ისტორიული ღირებულება | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | ტექნიკური აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები | სატრანსპორტო საშუალებები | მიწა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **31.12.2020** | **40,963** | **243,978** | **201,967** | **139,442** | **-** | **626,350** |
| შემოსვლა | 18,512 | 6,169 | 2,790 | 23,790 | 74,040 | **125,301** |
| გასვლა | - | - | - | - | 132,983 | **132,983** |
| გადაფასება | - | - | - | - | - | **-** |
| **31.12.2021** | **59,475** | **250,147** | **204,757** | **163,232** | **207,023** | **884,634** |
| შემოსვლა | - | 42,672 | 4,388 | - | **-** | **47,060** |
| გასვლა | - | - | - | - | - | **-** |
| გადაფასება | - | - | - | - | - | **-** |
| **31.12.2022** | **59,475** | **292,819** | **209,145** | **163,232** | **-** | **931,694** |
| | | | | | | |
| **აკუმილირებული ცვეთა** | | | | | | |
| **31.12.2020** | **(9,107)** | **(181,317)** | **(87,407)** | **(102,530)** | **-** | **(380,361)** |
| ცვეთა | (13,241) | (22,714) | (17,006) | (23,767) | - | **(76,728)** |
| გასვლა | - | - | - | - | - | **-** |
| **31.12.2021** | **(22,348)** | **(204,031)** | **(104,413)** | **(126,297)** | **-** | **(457,089)** |
| ცვეთა | (12,886) | (26,020) | (17,151) | (14,996) | - | **(71,053)** |
| გასვლა | - | - | - | - | - | **-** |
| **31.12.2022** | **(35,234)** | **(230,051)** | **(121,564)** | **(141,293)** | **-** | **(528,142)** |
| | | | | | | |
| **საბალანსო ღირებულება** | | | | | | |
| **31.12.2020** | **31,856** | **62,661** | **114,560** | **36,912** | **-** | **245,989** |
| **31.12.2021** | **37,127** | **46,116** | **100,344** | **36,935** | **207,023** | **427,545** |
| **31.12.2022** | **24,241** | **62,768** | **87,581** | **21,939** | **207,023** | **403,552** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**10. არამატერიალური აქტივები**

| | |
|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | |
| **31.12.2020** | **205,859** |
| შემოსვლა | 72,509 |
| **31.12.2021** | **278,368** |
| შემოსვლა | 2,833 |
| **31.12.2022** | **281,201** |
| **Accumulated Amortization** | |
| **31.12.2020** | **(97,728)** |
| ამორტიზაცია | (34,589) |
| **31.12.2021** | **(132,317)** |
| ამორტიზაცია | (37,253) |
| **31.12.2022** | **(169,570)** |
| **საბალანსო ღირებულება** | |
| **31.12.2020** | **108,131** |
| **31.12.2021** | **146,051** |
| **31.12.2022** | **111,631** |

ამორტიზაცია მთლიანად დაირიცხა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებზე.

**11. აქტივების გამოყენების უფლება**

სარგებლობის უფლება აქტივებში მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| **1 იანავრი** | **477,538** | **658,566** |
| მოდიფიკაცია | 65,263 | - |
| ცვეთა | (208,293) | (181,028) |
| **31 დეკემბერი** | **334,508** | **477,538** |

საიჯარო ვალდებულების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| **1 იანვარი** | **575,333** | **803,924** |
| მოდიფიკაცია | (33,980) | - |
| საპროცენტო ხარჯი | 48,064 | 53,429 |
| საიჯარო გადასახადი | (255,136) | (208,207) |
| (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან | (27,655) | (73,813) |
| **31 დეკემბერი** | **306,626** | **575,333** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

საიჯარო ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

| | 1წლამდე | 1-5წლამდე | 5წელზე მეტი | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულება | 184,023 | 122,603 | - | **306,626** |

საიჯარო ვალდებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის:

| | 1წლამდე | 1-5წლამდე | 5წელზე მეტი | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულება | 217,144 | 358,189 | - | **575,333** |

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართები მომსახურების ცენტრებისთვის და ასევე, ადმინისტრაციული ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში.

ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს რომ გამოიყენებს სერვის ცენტრების მოსაწყობად და ადმინისტრაციული ოფისისთვის აღებული საიჯარო ფართების შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლებას.

ზემოაღნიშნული იჯარის ხელშეკრულებები განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახადებს არა-გაუქმებადი პერიოდისთვის. რადგან ხელშეკრულების განახლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით, კომპანია იყენებს იგივე საიჯარო გადახდებს გახანგრძლივებული პერიოდისთვის.

**12. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები**

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| **სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები** | | |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) | 3,172,491 | 1,750,461 |
| განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS) | 1,169,358 | 798,190 |
| მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR) | 300,319 | 233,464 |
| | **4,642,168** | **2,782,115** |

გადამზღვევლის წილი სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

| | | |
|---|---|---|
| **გადაზღვევის აქტივები** | | |
| გადამზღვევლის წილი UPR-ში | 921,495 | 43,836 |
| გადამზღვევლის წილი RBNS-ში | 436,897 | 76,129 |
| მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR) | 14,204 | 8,631 |
| | **1,372,596** | **128,596** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები გადამზღვევლის წილის გამოკლების შემდეგ:

| **ნეტო სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები** | | |
|---|---|---|
| ნეტო UPR | 2,250,996 | 1,706,625 |
| ნეტო RBNS | 732,461 | 722,061 |
| ნეტო IBNR | 286,115 | 224,833 |
| | **3,269,572** | **2,653,519** |

a) ბრუტო UPR-ის მოძრაობის ანალიზი:

| **ბრუტო UPR** | **31.12.2022** | **31.12.2021** |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით** | **1,750,461** | **1,587,707** |
| მოზიდული პრემია | 9,101,508 | 5,358,777 |
| გამომუშავებული პრემია | (7,679,478) | (5,196,023) |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,172,491** | **1,750,461** |

b) UPR-ში გადამზღვევლის წილის მოძრაობის ანალიზი:

| **UPR-ში გადამზღვევლის წილი** | | |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით** | **43,836** | **32,880** |
| გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში | 1,516,712 | 191,715 |
| გადამზღვევლის წილი გამომუშავებულ პრემიაში | (639,053) | (180,759) |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით** | **921,495** | **43,836** |

c) ნეტო UPR-ის მოძრაობის ანალიზი:

| **ნეტო UPR** | | |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით„** | **1,706,625** | **1,554,827** |
| ნეტო მოზიდული პრემია | 7,584,796 | 5,167,062 |
| ნეტო გამომუშავებული პრემია | (7,040,425) | (5,015,264) |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,250,996** | **1,706,625** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან**

| | **31.12.2022** | **31.12.2021** |
|---|---|---|
| მოთხოვნები დაზღვეულებისგან | 4,615,548 | 3,304,553 |
| მოთხივნები გადამზღვევისაგან | 411,434 | 28,348 |
| | **5,026,982** | **3,332,901** |
| გაუფასურების რეზერვი | (1,701,684) | (1,235,878) |
| | **3,325,298** | **2,097,023** |

| | **31.12.2022** | **31.12.2021** |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით** | **(1,235,878)** | **(1,235,878)** |
| წლის განმავლობაში გაუფასურების რეზერვი | (465,806) | - |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,701,684)** | **(1,235,878)** |

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულად უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას წლის ბოლოს.

**14. სხვა აქტივები**

| **ფინანსური აქტივები** | **31.12.2022** | **31.12.2021** |
|---|---|---|
| მოთხოვნები რეგრესიდან | 126,598 | 156,610 |
| | | |
| **არაფინანსური აქტივები** | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯი | 124,660 | 124,660 |
| გადახდილი ავანსები | 8,251 | 43,530 |
| გადარჩენელი ქონებაs | 33,371 | 21,770 |
| სარჩელის წინასწარ გადახდილი ხარჯები | 25,779 | - |
| სხვა | 32,645 | 67,432 |
| | **351,304** | **414,002** |

(*) - მოთხოვნები რეგრესიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **31.12.2022** | **31.12.2021** |
|---|---|---|
| **მოთხოვნები რეგრესიდან გაუფასურებამდე** | **1,484,341** | **861,775** |
| გაუფასურების ანარიცხი | (1,357,743) | (705,165) |
| **მოთხოვნები რეგრესიდან, წმინდა** | **126,598** | **156,610** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

აუფასურების ანარიცხის ცვლილება მოთხოვნებზე რეგრესიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| **გაუფასურების ანარიცხები 1 იანვარისთვის** | **(705,165)** | **(767,935)** |
| ანარიცხის ზრდა | (652,578) | (105,872) |
| ანარიცხის ჩამოწერა | - | 168,642 |
| **გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის** | **(1,357,743)** | **(705,165)** |

სხვა აქტივებში შემავალი ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის არ არსებობს არსებითი განსხვავება.

**15. ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

ა) მოცემულია ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ:

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 359,737 | 171,716 |
| ნაღდი ფული | 7,119 | 65,232 |
| | **366,856** | **236,948** |

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| სს "პროკრედიტ ბანკი" | 5,174,330 | 4,925,184 |
| სს „საქართველოს ბანკი" | 1,675,240 | 1,920,512 |
| სს „ჰალიკ ბანკი საქართველო " | 810,400 | 889,520 |
| **დარიცხული პროცენტი:** | 15,511 | 9,889 |
| | **7,675,481** | **7,745,105** |

მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს შეზღუდულ ფულს, რომელიც განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე მარეგულირებელის მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 20, კაპიტალის მენეჯმენტი).

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში 10,5 – 11,5% (2021: 10 – 11,5%) და აშშ დოლარში: 0,25 – 4,1% (2021: 0,25 – 4,1%).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიის ნაღდი ფული და ექვივალენტი იყოფა ორ კატეგორიად: ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტი და საკრედიტო ინსტიტუტებიდან გადასახდელი თანხა, კატეგორია „საკრედიტო ინსტიტუტებიდან გადასახდელი თანხა “მოიცავს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ დეპოზიტებს და შესაბამისად დარიცხულ პროცენტებს.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულად მიახლოებით ტოლია სამართლიანი ღირებულებასთან ანგარიშგების თარიღისთვის.

## 16. სააქციო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან (2800 ჩვეულებრივი აქცია თითო 4640 ლარი ნომინალური ღირებულებით) სრულად არის გადახდილი 12,991,287 ლარი (2021 წელი: 10,891,468). ჩვეულებრივი აქციონერები წარმოდგენილია შენიშვნა 1-ში.

| | ჩვეულებრივი აქციათა რაოდენობა | სააქციო კაპიტალი |
|---|---|---|
| 31 დეკემბერი 2022 წელი | 2,800 | 12,991,287 |
| 31 დეკემბერი 2021 წელი | 2,800 | 10,891,468 |

## 17. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| დეპონირებული თანხები | 343,794 | 154,843 |
| გადასახდელი ბროკერის და აგენტის საკომისიო | 221,896 | 154,754 |
| სხვა ვალდებულებები | 59,682 | 240,129 |
| | | |
| **არა-ფინანსური ვალდებულებები** | | |
| გადასახდელი გადასახადები | 203,832 | 415,611 |
| გადავადებული საკომისიო შემოსავალი | 254,533 | 7,088 |
| | **1,083,737** | **972,425** |

## 18. ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| Scor Perestrakhovaniye LLC | 1,269,947 | 126,202 |
| MAI Georgia Insurance Brokers LTD | 67,986 | 21,683 |
| Azre Reinsurance OJSC FAC | 8,951 | - |
| IRAO lnternational Insurance Company IRAO JSC / VIG | 2,306 | 7,299 |
| | **1,349,190** | **155,184** |

31.12.2022-ის მდგომარეობით ვალდებულებები გადამზღვევლების წინაშე წარმოდგენილია შემდეგი კონტრაგენტებით: შპს Scor Perestrakhovaniye - 94%, MAI Georgia Insurance Brokers LTD - 5%.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

31.12.2021 წლის ვალდებულებები გადამზღვეველების მიმართ წარმოდგენილია შემდეგნაირად: შპს Scor Perestrakhovaniye - 63%, MAI Georgia Insurance Brokers LTD - 28% და IRAO lnternational სადაზღვევო კომპანია - 9%.

ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

**19. პირობითი ვალდებულებები**

**იურიდიული საკითხები**

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავები, სადაც კომპანია წარმოადგენს მოპასუხე მხარეს. დავები დაკავშირებულია როგორც სადაზღვევო ზარალების ანაზღაურების მოთხოვნასთან, ასევე კომპენსაციასთან თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის ფარგლებში. სარჩელის თანხა ყველა არსებული სასამართლო დავისთვის ჯამურად წარმოდგენილია 716,496 ლარის ღირებულებით (2021: 1,012,672 ლარის ღირებულებით). აღნიშნული პირობითი ვალდებულებებიდან ნაწილი 162,120 ლარი (2021: - 94,000 ლარი) ვალდებულებისა კომპანიას გადაზღვეული აქვს გადამზღვევლებთან. დავების ნაწილი მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო ნაწილი გასაჩივრებულია და სააპელაციო სასამართლოში პროცესის დანიშვნის მოლოდინშია

სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების და დავის უარყოფითად გადაწყვეტის ალბათობის შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მოელის, რომ სასამრთლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად მათთან დაკვაშირებული ანარიცხი არ არის შექმნილი აღნიშნულ სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა**

ადგილობრივ სადაზღვევო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს საზედამხდეველო კაპიტალის მოთხოვნა. კომპანიის მენეჯმენტი აცნობიერებს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის დეფიციტს და მისი სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი მე-2 განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული შეუსაბამობის შედეგად დაწესებული ნებისმიერი სასჯელის მოცულობა და დრო შეუძლებელია დაზუსტებით დადგინდეს ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**20. რისკების მართვა**

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ:

**კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა**

კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტორების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კომპანია ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. კომპანიის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე.

**მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ**

კომპანია ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს უკუგების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის რეალურ და საჭირო დონეებს შორის განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.

გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანი არის შესაბამისი დონის მონიტორინგი და კომპანიის რისკებთან კაპიტალის შესაბამისობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს. კომპანიის კაპიტალის მართვის მიზნებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურების მოთხოვნების დაცვა;

- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება და

- კომპანიის სტაბილურობის აუცილებელი დონის შენარჩუნება და დაზღვეულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

*მარეგულირებლის მოთხვოვნები*

2016 წლის 16 სექტემბერს, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოაქვეყნა ბრძანებულება №15 და №16 რეგულაცია გადახდისუნარიანობის მარჟის და კაპიტალის შესახებ. გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა საანგარიშო პერიოდისთვის განისაზღვრება პრემიაზე და ზარალზე დაფუძნებული მეთოდით გამოთვლილი რიცხვებიდან ყველაზე დიდით და გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

მაქს (SRp, SRc), სადაც გამოყენებული ტერმინები და აღნიშვნები აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

SRp - გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გამოთვლილი პრემიუმის მეთოდით;

SRc - გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება ზარალზე დაფუძნებული მეთოდით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდისუნარიანობის მარჟა არის 1,870,511 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,756,504 ლარი).

მარეგულირებელი კაპიტალი განისაზღვრება ფასს კაპიტალის საფუძველზე, კორექტირებული ISSSG №16 დირექტივით დადგენილი წესით.

კომპანია არ აკმაყოფილებს მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნას, როგორც ამას მოითხოვს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კანონმდებლობა. საზედამხედველო კაპიტალის დეფიციტი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 940,918 ლარი მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხვნიდან გამომდინარე და გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნიდან არ არის დარღველი.

**20.1. სადაზღვევო რისკი**

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

კომპანია რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე, გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით.

კომპანია ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

კომპანია იყენებს ზარალის კოეფიციენტს “სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების გაყოფით წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე.

კომპანიის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ზარალის კოეფიციენტი | 61% | 43% |

კომპანიის მიერ განხორციელებული დაზღვევა მოიცავს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების, სამედიცინო, ქონების, ტვირთების, სამოგზაურო, პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, 12-თვიანია.

ქონების დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი. სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის, ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, დაზღვეულ პირთა მასიური დაავადებების შედეგად და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

**სადაზღვევო რისკის მართვა**

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით.

ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს კომპანიის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. კომპანია იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე. კომპანია ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით, რათა შეამციროს კატასტროფულ მოვლენებთან

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

დაკავშირებული რისკი, მაგალითად, ქარიშხლით, მიწისძვრითა და წყალდიდობით გამოწვეული ზარალები.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბიზნესის მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სადაზღვევო პორტფელი მგრძნობიარეა ძირითადად ზარალიანობის კოეფიციენტის მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ. კომპანიის ზარალიანობის კიფიციენტის ფაქტიურ მაჩვენებელს სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს მომავალში სადაზღვევო ტარიფების ფორმირებისას.

**სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია**

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია არსებობს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან/და სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობაზე. რისკის კონცენტრაციის სამართავად კომპანია იყენებს გადაზღვევას. ხელმძღვანელობის შეფასების სადაზღვევი რისკების კონცენტრაციას გამოხატავს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის განაწილება სახეობების მიხედვით. იხილეთ მე-6 განმარტებითი შენიშვნა.

განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს, და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს

ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო ზარალების რეზერვებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით, როგორც წესი, საბოლოო, ფაქტიური შედეგი განსხვავდება კომპანიის მიერ შეფასებული თავდაპირველი ვალდებულებისგან.

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია გააჩნია.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები ზარალების მოსალოდნელ ანაზღაურებაზე. თუ მოსალოდნელი ანაზღაურება შექმნილ ანარიცხებზე მეტი აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. დეფიციტის აღიარება ხდება წლის მოგებაში

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ან ზარალში. 2022 და 2021 წლების განმავლობაში დანაკლისი არ გამოვლენილა და ამიტომ არ გამხდარა საჭირო დამატებითი ამოუწურავი რისკის რეზერვის შექმნა.

**20.2. ფინანსური რისკები**

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე, დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

• საკრედიტო რისკი

• ლიკვიდურობის რისკი

• საბაზრო რისკი

- სავალუტო რისკი

- საპროცენტო რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფინანსური რისკის წინაშე იდგეს, შემდეგია:

| **ფინანსური აქტივები** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 366,856 | 236,948 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 7,675,481 | 7,745,105 |
| სხვა აქტივები | 126,598 | 156,610 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 3,325,298 | 2,097,023 |
| გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 451,101 | 84,760 |
| გაცემული სესხები | 57,200 | 57,200 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **12,002,534** | **10,377,646** |

| **ფინანსური ვალდებულებები** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულებები | 306,626 | 575,333 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 1,469,677 | 1,031,654 |
| ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ | 1,349,190 | 155,184 |
| სხვა ვალდებულებები | 625,372 | 549,726 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **3,750,865** | **2,311,897** |

**რეალური ღირებულების შეფასების იერარქია**

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1- ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

კომპანიას არ გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც მათი დანიშნულებიდან გამომდინარე შეფასებული უნდა იყოს რეალური ღირებულებით. შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-2 და მე-3 დონის მიხედვით.

| | **2022** | | | |
|---|---|---|---|---|
| | **რეალური ღირებულების შეფასების იერარქია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:** | | | |
| | **დონე 1** | **დონე 2** | **დონე 3** | **სულ** |
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| გაცემული სესხები | - | - | 57,200 | 57,200 |
| გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | - | - | 451,101 | 451,101 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | - | - | 3,325,298 | 3,325,298 |
| სხვა აქტივები | - | - | 126,598 | 126,598 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 7,675,481 | - | - | 7,675,481 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 366,856 | - | - | 366,856 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **8,042,337** | **-** | **3,960,197** | **12,002,534** |
| | | | | |
| **ფინანსური ვალდბულებები** | | | | |
| საიჯარო ვალდებულებები | - | - | 306,626 | 306,626 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | - | - | 1,469,677 | 1,469,677 |
| ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ | - | - | 1,349,190 | 1,349,190 |
| სხვა ვალდებულებები | | - | 625,372 | 625,372 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **-** | **-** | **3,750,865** | **3,750,865** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

| | 2021 | | | |
|---|---|---|---|---|
| | **რეალური ღირებულების შეფასების იერარქია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:** | | | |
| | **დონე 1** | **დონე 2** | **დონე 3** | **სულ** |
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| გაცემული სესხები | - | - | 57,200 | 57,200 |
| გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | - | - | 84,760 | 84,760 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | - | - | 2,097,023 | 2,097,023 |
| სხვა აქტივები | - | - | 156,610 | 156,610 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 7,745,105 | - | - | 7,745,105 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 236,948 | - | - | 236,948 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **7,782,053** | **-** | **2,395,593** | **10,377,646** |
| | | | | |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| საიჯარო ვალდებულებები | - | - | 575,333 | 575,333 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | - | - | 1,031,654 | 1,031,654 |
| ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ | - | - | 155,184 | 155,184 |
| სხვა ვალდებულებები | - | - | 549,726 | 549,726 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **-** | **-** | **2,311,897** | **2,311,897** |

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში), და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო ისტორია. ლიმიტების დაწესება ხდება თითოეული მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგისას ხდება მომხმარებლების დაჯგუფება მათი საკრედიტო ისტორიების, სახეობების (ინდივიდუალური თუ იურიდიული პირები) გეოგრაფიული არეების, ინდუსტრიის მიხედვით და ა.შ. ,,მაღალი რისკის“ მქონე მომხმარებლების დაჯგუფება ხდება ცალკე და მათთან შემდგომი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება წინასწარი გადახდების საფუძველზე.

კომპანია დებიტორული და სხვა დავალიანებებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. ანარიცხები წარმოადგენს ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნების ვადაგადაცილების ანალიზით შექმნილ რეზერვებს.

**გადაზღვევა**

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს გადაზღვევის პრაქტიკა, იგი არ თავისუფლდება პოლისების მფლობელების მიმართ ნაკისრი პირდაპირი მოვალეობებისგან და ამრიგად საკრედიტო რისკი არსებობს გადაცემული საქმიანობის შემთხვევაშიც, თუკი რომელიმე გადამზღვეველი ვერ შეასრულებს მის ვალდებულებებს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებების ფარგლებში. კომპანია არ არის დამოკიდებული რომელიმე გადამზღვეველზე და კომპანიის საქმიანობა არ არის არსებითად დამოკიდებული რომელიმე გადაზღვევის ხელშეკრულებაზე.

კომპანია აფასებს თავისი გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას და აკონტროლებს საკრედიტო რისკების კონცენტრაციას მსგავს გეოგრაფიულ რეგიონებზე, საქმიანობაზე, ან მზღვეველთა ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გადამზღვევლების მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო ზარალი

კომპანია ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს მართავს ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. სადაზღვევო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| 31.12.2022 | **0-30 დღემდე** | **31–60 დღემდე** | **61-90 დღემდე** | **91-120 დღემდე** | **121-365 დღემდე** | **365 დღეზე მეტი** | **ჯამი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ზარალების ალბათობ* | *0%* | *15%* | *30%* | *50%* | *80%* | *100%* | |
| საბალანსო ღირებულება | 2,849,745 | 7,071 | 22,910 | 7,153 | 192,474 | 1,536,195 | **4,615,548** |
| გაუფასურების ანარიცხი | - | (1,061) | (6,873) | (3,576) | (153,979) | (1,536,195) | **(1,701,684)** |
| წმინდა მოთხოვნები | **2,849,745** | **6,010** | **16,037** | **3,577** | **38,495** | **-** | **2,913,864** |

| 31.12.2021 | **0-30 დღემდე** | **31–60 დღემდე** | **61-90 დღემდე** | **91-120 დღემდე** | **121-365 დღემდე** | **365 დღეზე მეტ** | **ჯამი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ზარალების ალბათობ* | *0%* | *0%* | *10%* | *30%* | *50%* | *100%* | |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბალანსო ღირებულება | 1,899,210 | 147,566 | 14,056 | 7,410 | 8,127 | 1,228,186 | **3,304,555** |
| გაუფასურების ანარიცხი | - | - | (1,406) | (2,222) | (4,064) | (1,228,186) | **(1,235,878)** |
| წმინდა მოთხოვნები | **1,899,210** | **147,566** | **12,650** | **5,188** | **4,063** | **-** | **2,068,677** |

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი 2022 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| **ფინანსური აქტივები** | **1 წლამდე** | **1-5 წელი** | **5 წელზე მეტი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | - | - | 57,200 | 57,200 |
| გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 451,101 | - | - | 451,101 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 3,325,298 | - | - | 3,325,298 |
| სხვა აქტივები | 126,598 | - | - | 126,598 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | - | 7,675,481 | - | 7,675,481 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 366,856 | - | - | 366,856 |
| **ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს** | **4,269,853** | **7,675,481** | **57,200** | **12,002,534** |

| **ფინანსური ვალდებულებები** | **1 წლამდე** | **1-5 წელი** | **5 წელზე მეტი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულებები | 184,023 | 122,603 | - | 306,626 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 1,469,677 | - | - | 1,469,677 |
| ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ | 1,349,190 | - | - | 1,349,190 |
| სხვა ვალდებულებები | 625,372 | - | - | 625,372 |
| **ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს** | **3,628,262** | **122,603** | **-** | **3,750,865** |
| **ლიკვიდურობის პოზიცია** | **641,591** | **7,552,878** | **57,200** | **8,251,669** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

ლიკვიდურობის პოზიცია 2021 წლის მონაცემებით:

| ფინანსური აქტივები | 1 წლამდე | 1-5 წელი | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | - | - | 57,200 | 57,200 |
| გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 84,760 | - | - | 84,760 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 2,097,023 | - | - | 2,097,023 |
| სხვა აქტივები | 156,610 | - | - | 156,610 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | - | 7,745,105 | - | 7,745,105 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 236,948 | | - | 236,948 |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს** | **2,575,341** | **7,745,105** | **57,200** | **10,377,646** |

| ფინანსური ვალდებულებები | 1 წლამდე | 1-5 წელი | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულებები | 217,144 | 358,189 | - | 575,333 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 1,031,654 | - | - | 1,031,654 |
| ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ | 155,184 | - | - | 155,184 |
| სხვა ვალდებულებები | 549,726 | - | - | 549,726 |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს** | **1,953,708** | **358,189** | **-** | **2,311,897** |
| **ლიკვიდურობის პოზიცია** | **621,633** | **7,386,916** | **57,200** | **8,065,749** |

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

**საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივები/ვალდებულებები.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. სავალუტო რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 198,537 | 168,319 | - | **366,856** |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 270,340 | 7,405,141 | - | **7,675,481** |
| სხვა აქტივები | 126,598 | - | - | **126,598** |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 2,252,457 | 1,072,841 | - | **3,325,298** |
| გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 451,101 | - | - | **451,101** |
| გაცემული სესხები | 57,200 | - | - | **57,200** |
| **2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,356,233** | **8,646,301** | **-** | **12,002,534** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 234,101 | 2,847 | - | **236,948** |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 270,000 | 7,475,105 | - | **7,745,105** |
| სხვა აქტივები | 156,610 | - | - | **156,610** |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 1,190,602 | 876,862 | 29,559 | **2,097,023** |
| გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 84,760 | - | - | **84,760** |
| გაცემული სესხები | 57,200 | - | - | **57,200** |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,993,273** | **8,354,814** | **29,559** | **10,377,646** |

**ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით**

31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| სხვა ვალდებულებები | 625,372 | - | - | **625,372** |
| გადაზღვევიდან წარმოშობილი ვალდებულებები | 67,987 | 1,281,203 | - | **1,349,190** |
| სადაზღვევო ვალდებულებები(გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 1,469,677 | - | - | **1,469,677** |
| საიჯარო ვა;დებულებები | - | 306,626 | - | **306,626** |
| **2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,163,036** | **1,587,829** | **-** | **3,750,865** |
| სხვა ვალდებულებები | 501,468 | 45,785 | 2,473 | **549,726** |
| გადაზღვევიდან წარმოშობილი ვალდებულებები | - | 147,885 | 7,299 | **155,184** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სადაზღვევო ვალდებულებები(გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა) | 1,031,654 | | | **1,031,654** |
| საიჯარო ვა;დებულებები | 18,526 | 556,807 | - | **575,333** |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეიბით** | **1,551,648** | **750,477** | **9,772** | **2,311,897** |

**სავალუტო რისკის მგრძნობელობა**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის აშშ დოლარის და ევროს მგრძნობელობას ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

წმინდა მოგებასა/ (ზარალსა) და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი ზრდა/კლება გაზრდის/შემცირებს მოგებას გადასახადის შემდეგ 705,847 ლარით (2021: 760,434 ლარი).

ლარი/ევრო კურსის 10%-იანი ზრდა/კლება გაზრდის/მოკლებს მოგებას 0 ლარით (2021: 1979 ლარი.)

**21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 ,,დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს,კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილსაწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე;და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენააქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| სრული შემოსავლის ანგარიშგება | ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან | ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო | (433,202) | (462,496) |
| სხვა* | (570) | (455) |
| **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები** | | |
| სხვა* | (77,779) | (5,400) |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** | ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან | ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან |
| **მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან** | | |
| აქციონერები | - | - |
| სხვა* | 182,284 | 68,182 |
| **სხვა აქტივები** | | |
| სხვა* | - | 19,310 |
| **აკვიზიციის გადავადებული ხარჯი** | | |
| სხვა* | 10,639 | 35 |
| **სხვა ვალდებულებები** | | |
| სხვა* | 27,429 | 28,877 |

**22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

2023 წელს თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება გაიზარდა დამატებითი კაპიტალის შენატანებით და სააქციო კაპიტალი მიმდინარე პერიოდში შეადგენს 14,683,072 ლარს.